საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990192436858321

№17/1521

07 / მაისი / 2021 წ.

მოქალაქე ეკატერინე ფარღალავას (პ/ნ 62001030515
მის: ქ. მცხეთა საკაძის ქ. 310
ტელ: 591914255
ელ. ფოსტა ekapargalava@gmail.com

ქალბატონო ეკატერინე,

მიმდინარე წლის 21 აპრილს, სააგენტოში შემოსულია დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მმართველის ნ. მაისურაძვილის მოხსენებითი ბარათი #1363, რომელიც ეხება ქ. მცხეთაში (მცხეთის მუნიციპალიტეტი), საკაძის ქუჩა N10-ში (ადგილი ნარეკვავი, ს/კ 72.07.02.341) არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების გამოვლენისა და დაცვის მიზნით ჩატარებულ ზედაპირულ დაზვერვებს. მოხსენებითი ბარათის მიხედვით, საპროექტო არეალში და მიმდებარე ტერიტორიის ზედაპირული დათვალიერების შედეგად, მიწის ნაკვეთზე არქეოლოგიური ძეგლი/ობიექტი და არტეფაქტები არ ფიქსირდება.

საყურადღებოა, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს არქეოლოგიური ობიექტის, "ღართისკარის" ჩრდილოეთით, დაახლოებით 400 მეტრის დაშორებით, შესაბამისად მიწის სამუშაოების წარმოების დროს, შესაძლებელია არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენა. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის განადგურება/დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია, მიწის სამუშაოები წარიმართოს არქეოლოგის მეთვალყურეობით.

მიწის სამუშაოებზე მეთვალყურე არქეოლოგი ვალდებულია სააგენტოში წარმოადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გეძლევათ დადაებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების წარმოების თაობაზე მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო არეალის საზღვრების ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი